17958/109-42
27.12.2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს "თიბისი ბანკი", როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 01.72.14.032.599 (მესაკუთრე: შპს სმართ ვეარჰაუს, ს/ნ 405131085, მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR1930985, განცხადების შესაბამისად (გადაწყვეტილების N 6819879, გადაწყვეტილების თარიღი: 26/12/2023) გაიცეს მშენებლობის ნებართვა."

პატივისცემით,

სს ,,თიბისი ბანკის" წარმომადგენელი

გიორგი დარჩიაშვილი (პირადი ნომერი 01030028709)

მარჯანიშვილის ქ #7
0102 თბილისი, საქართველო

7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia

ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74

www.tbcbank.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

27494359935122

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221775570

რეგისტრაციის თარიღი

29.12.2022 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7,II სართული.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაცხრა დეკემბერს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, მომმართა სს „თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22157528, 13/12/2022 15:02:24, ს/ნ 204854595) გენერალური დირექტორის მოადგილემ გიორგი თხელიძემ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი თხელიძემ (დაბ. 26.08.1978წელს თბილისში, მცხ. თბილისი, მუხის ქ., სახლი №7, პ/ნ №01005001579, ბარათის № 17IB40044, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 03.08.2017) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაცხრა დეკემბერს, სს „თიბისი ბანკის" (ს/ნ 204854595) გენერალური დირექტორის მოადგილემ გიორგი თხელიძემ (დაბ. 26.08.1978წელს, პ/ნ №01005001579) გიორგი დარჩიაშვილს (პ/ნ № 01030028709), შემდეგში "რწმუნებულს" წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. გიორგი დარჩიაშვილი უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, აკრედიტივის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ხელშეკრულებებს მოთხოვნის დათმობის (ცესიის) შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, განცხადებებს/წერილებს ცესიის შედეგად უზრუნველყოფის საშუალებების, მათ შორის იპოთეკისა და გირავნობის უფლებების მიღების, განაწილების, გადაცემის ან/და გაუქმების/შეწყვეტის შესახებ, შეთანხმებებს/ხელშეკრულებებს სინდიცირების შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ,

შეთანხმებებს/ხელშეკრულებებს სხვა კომერციულ ბანკ(ებ)თან ან/და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად კლიენტ(ებ)ის ერთობლივი დაფინანსების შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, სხვა სახის შეთანხმებებს /ხელშეკრულებებს/წერილებს, რაც დაკავშირებული იქნება სინდიცირებასთან ან/და მოთხოვნის დათმობასთან ან/და სხვა კომერციულ ბანკ(ებ)თან ან/და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად კლიენტის დაფინანსებასთან და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს რომელთა დადებაც აუცილებელი იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად, აგრეთვე სს ''თიბისი ბანკის'' სახელით ხელი მოაწეროს კლიენტისათვის გასაგზავნ და კლიენტთან დაკავშირებით მესამე პირებისათვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილებს/შეტყობინებებს;

2. ამ მინდობილობით **გიორგი დარჩიაშვილს** ენიჭება უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ნებისმიერ პირ(ებ)თან ნებისმიერ ხელშეკრულებას ან/და გარიგებას, რომელიც დაკავშირებული იქნება ნებისმიერი პირის სს „თიბისი ბანკის“ წინაშე არსებული ან/და მომავალში წარმოშობილი ვალდებულების შესრულებასთან ან/და მისი შესრულების უზრუნველყოფასთან.

3. ამ მინდობილობით **გიორგი დარჩიაშვილს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის“ ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში;

4. ეს მინდობილობა ძალაშია 2023 (ორი ათას ოცდასამი) წლის 1(პირველი) იანვრიდან 2023 (ორი ათას ოცდასამი) წლის 31 (ოცდათერთმეტი) დეკემბრის ჩათვლით.

5. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

საზღაური: 30.00 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად), რეგისტრაციის საფასური: 5.00 ლარი სულ: 35.00 ლარი.

გიორგი თხელიძე

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

ნოტარიუსი მედეა გვაზავა NOTARY MEDEA GVAZAVA 01008018186 საქართველო GEORGIA

